პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ЛЕЛО

№ 31 (6096)

1978 წ. 12 თებერვალი კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ᲛᲨᲓ — ᲡᲘᲯᲐᲜᲡᲐᲚᲘᲡ ᲓᲣᲐᲠᲝ

დამეთანხმებით, კაცს, რომელმაც ერთ კოლექტივში ორი ათეული წელი გაატარა, ბევრი რამ აქვს მოსაგონარი. ამ ხნის მანძილზე ადამ თვალწინ იცვალა სახე თვით საწარმომ, ჩამოყალიბდა და განმტკიცდა ფიზკულტურული კოლექტივი. მერე დადგა დრო და ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელი მუშაობის ფართოდ გაშლამ, როგორც შრომის ნაყოფიერების ზრდის ფაქტორმა საშუალებამ, საწარმოს სოციალისტური გარდაქმნის პერსპექტიულ გეგმაშიც ჰპოვა ასახვა. თავდაპირველად იგი სოციალისტური შეჯიბრების მოთხოვნებში ჩაერთვა.

ფიზკულტურულ-გამჯანსაღებელ მუშაობას, რომელიც თავის საქმიანობას უშუალოდ პროფკავშირის ადგილკომისა და ფიზკულტურის საბჭოს ხელმძღვანელობით ახორციელებს, სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს დეპუტატი, სიმჟავის საამქროს მოწინავე მუშა ია კაციტაძე უდგას სათავეში.

ჩვენი მთავარი საზრუნავია მშდ ფიზკულტურული კომპლექსის ფართოდ დანერგვა, რადგან პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ გამჯანსაღებელი მუშაობის თავწყარო სწორედ მშდ კომპლექსია. მისი მეშვეობით ბევრი ეზიარა ფიზკულტურისა და სპორტის სიკეთეს. გამოცდილების განზოგადების მიზნით მონაწილეობა მიეიღეთ „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს კომპლექსის ორგანოგანდის სპეციალურ საგაზეთო ბრიგადის შემადგენლობაში, რომელმაც იმოგზაურა მარშრუტით: თბილისი — მცხეთა — ბასსი — გორი — ბაშური.

წელს დაგეგმილი გვაქვს გამჯანსაღებელი ღონისძიებები მიკრორაიონის ფიზკულტურულ კოლექტივებთან ერთად ჩავატაროთ. მაგალითად მეზობლები შევიკრიბებით და ვითათბირებთ, თუ როგორ გავმართოთ გამჯანსაღებელი ღონისძიებების ეფექტურობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს, საკავშირო პროფსაბჭოსა და სრულიად საკავშირო ალკკ ცენტრალური კომიტეტის წერილის „საპასუხოდ.

გ. თხელიძე,
„სამტრესტის“ თბილისის საწარმოო კომბინატის მუშა, ვეტერანი ფიზკულტურელი.

ᲙᲐᲠᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘ

ᲑᲣᲨᲘᲜᲬᲘᲜ უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ვაჟთა გუნდების ჩემპიონატში გაიმართა სამი მატჩი. თბილისის დინამოელები კიევში ადგილობრივ „სტროიტელს“ შეხვდნენ. პირველი ტაიმი სტუმრებმა ერთ ქულით წააგეს — 51:60. მეორე ხანმეტში დინამოელები გააქტიურდნენ, შაგრამ თამაშში გარდატეხის შეტანა ვერ შეძლეს და საბოლოოდ წააგეს — 107:113.

ტალინში „კალევმა“ უმასპინძლა მოსკოვის „დინამოს“. გაიმარჯვა მოსკოველებმა 89:84 (40:45).

რიგაში ადგილობრივმა ვეფხვებმა დაამარცხა კაუნასის „ჟალგირისი“ 122:109 (71:55).

ᲒᲐᲗᲐᲛᲐᲨᲔᲑᲘᲡ ᲪᲮᲠᲘᲚᲘ

მდგომარეობა 11 თებერვლისთვის

	თ.	ბ.	ქ.
ცსკა	15	1538:1262	14
„სპარტაკი“	15	1283:1211	10
„დინამო“ თბ.	16	1466:1477	10
„დინამო“ მ.	17	1650:1581	9
„ჟალგირისი“	16	1503:1521	8
„ბუნი“	16	1565:1586	8
„ალვეგი“	17	1457:1494	8
„სტროიტელი“	15	1322:1349	7

ᲙᲘᲣᲓᲝᲘᲡᲢᲗᲐ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ IX ᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲣᲚᲘ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲢᲣᲠᲜᲘᲠᲘ

ᲡᲐᲛᲒᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲐᲠ ᲪᲣᲛᲠᲝᲑᲔᲜ

როცა ორ, საშუალო და ქვესაშუალო წონითს კატეგორიებში გაირკვა 8-8 უძლიერესის სახელი, საქართველოს ძიუდოისტთა მწვრთნელებსაც და გულშემატკივრებსაც ერთობ კმაყოფილი სახეები ჰქონდათ, — ხუთრობა საქმე ხომ არ არის, ერთგანაც და მეორეგანაც ჩვენი რესპუბლიკის ოთხოთხი წარმომადგენელი შემორჩა ასპარეზობას. არჩილ წიკლაური, აკაკი ოქროპირიძე, აბესალომ წიკლაური, ნოდარ ვათიაშვილი, საშუალოში — ბორის გოგიჩაშვილი, დავით ბოდაველი, ჯემალ კბილაშვილი, ფრიდონ გასიტაშვილი. სასიხარულო სხვაც იყო — მათგან ორი, აკაკი ოქროპირიძე და დავით ბოდაველი, სსრ კავშირის ჩემპიონები არიან ჭიდაობა სამმოში.

პირველი დღის ასპარეზობის ფონზე, როცა ქვეყნის უძლიერესი სამბისტები ერთობ უფერულად გამოვიდნენ, ამ ორი „უცხო სხეულის“ ლიდერთა შორის მოხვედრა გამოწვევას უფრო ჰგავდა.

უკვე შემდეგ ფინალისკენ მიმავალ გზაზე ოქროპირიძეს იაპონელი სირო კასე გადაეღობება. ამ ორთაბრძოლას საღამოს ასპარეზობათა კულმინაციად გახდომაც ეწერა.

ძიუდოს ფუძემდებლები თბილისში ძლიერი გუნდით ჩამოვიდნენ. ჯერ ჯერობით ოთხივე წონაში იაპონელებმა თითო სპორტსმენი გამოიყვანეს და უომედოდ არც ერთი არ დარჩენილა. რადა თქმა უნდა, სირო კასეც ფავორიტად ითვლებოდა. თუ ლოგიკას მოვუსმობთ, ქართველ სამბისტს წარმატების ძალზე მცირე შანსი უნდა ჰქონოდა. სამბო კარგია, მაგრამ ჩოხის კიმანოზე გადაცვლა ახალი პროფესიის დაუფლებას ეთანაბრება. უჩვეულო წესები, უჩვეულო ბარემი, ახალი ტაქტიკა და ფანდები — ყველაფერ ამის ათვისებას წლები სჭირდება, ყველა ამ ნიუანსში გარკვევასა და მათთან შეგუებას იქნებ სხვა ხასიათი, სხვა ნიჭიც სჭირდება.

იაპონელს მართლაც ბევრი უპირატესობა ჰქონდა და აკაკის, როგორც იტყვიან, ფაქტიურად ცალი ხელით უნდა ეჭიდავა მეტოქესთან.

მართალია, ამ ორთაბრძოლაში არც მყვირალა ტიტული თამაშდებოდა, არც ტურნირში გამარჯვებულის ბედს სწყვეტდა, მაგრამ...

ამ ხუთწუთიან შეხვედრაზე იმადაც გავაგრძელეთ სიტყვა, რომ სწორედ ის იქცა ჭეშმარიტად სპორტული სულის დემონსტრირების, სპორტული შემართებისა თუ შეუძლებლისკენ ლტოლვის ნიმუშად და მართლაცდა მშვენიერ წუთებად.

კასემ გონს მოსვლა და ოქროპირიძის იერიშების შეჩერება მაშინდა მოახერხა, როცა სადემონსტრაციო დაფას ქართველი სპორტსმენის სასარგებლოდ ერთობ საგულისხმო წარწერა — ვაზაური და კოკა ამშვენებდა. იაპონიის ჩემპიონი შეტევაზე გადადის, მაგრამ გვიანლაა. ამ გამარჯვებით აკაკიმ ვერცხლის მედალი გაიხადა. ფინალში კარგად იასპარეზა ევროპის ჩემპიონმა ალექსანდრე ვოლოსოვმა. ელექტროსტალელი ძიუდოისტის უპირატესობა აშკარა იყო.

საშუალო წონით კატეგორიაში სსრ კავშირის ჩემპიონი ახალგაზრდებში 20 წლის ბორის გოგიჩაშვილი უკვე მეოთხედფინალში შეხვდა ტურნირის მომავალ გამარჯვებულს მასაო ტაკახასის. იაპონელმა არ აპატია გაუფრთხილებლობა თავის ახალგაზრდა ოპონენტს და წმინდად მოიგო. მერე ბორისმა დამამშვიდებელ ტურნირში ჯერ სსრ კავშირის ჩემპიონი და ევროპის II პრიზიორი ბარკალაია დაამარცხა, ქვეყნის პრიზიორი ჯემალ კბილაშვილიც და ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ორი დღის ასპარეზობის შემდეგ საქართველოს ნაკრებს თითო ოქროსა და ვერცხლის, 2 ბრინჯაოს მედალი ჰქონდა, იაპონელებს 2 ოქრო, 2 ბრინჯაო, სსრ კავშირის ნაკრებს 1 ოქრო, 2 ვერცხლი, 3 ბრინჯაო. 1 ვერცხლის მედალი გდრ-ს, ერთი ბრინჯაოსი პოლონეთს. ეგუნინ სპორტის სასახლეში კიდევ ორ წონითს კატეგორიაში გამოვლინდნენ პრიზიორები.

დღეს თბილისის საერთაშორისო ტურნირის ბოლო დღეა. მედლებს გაითამაშებენ მჩატე წონის ძიუდოისტები. დღესვე გამოვლინდება გამარჯვებული აბსოლუტურ წონითს კატეგორიაში. ეს ასპარეზობა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.





ტექნიკური შედეგები. მძიმე: ი. იამასიტა (იაპონია), ს. ნოვიკოვი (სსრკ), ჯ. ნიკარაძე (საქართველო), ა. ტიურინი (სსრკ).

ქვეძმიმე: რ. ხარშილაძე (საქართველო), ა. შუროვი (სსრკ), კ. ივატე (იაპონია), ვ. დეორჩინსკი (პოლონეთი).

საშუალო: მ. ტაკახასი (იაპონია), დ. უდრი (გდრ), ბ. გოგიჩაშვილი (საქართველო), ა. იაცკევიჩი (სსრკ).

ქვესაშუალო: ა. ვოლოსოვი (სსრკ), ა. ოქროპირიძე (საქართველო), ს. კასე (იაპონია), რ. ბოდანოვიკი (სსრკ).

* * *

სურათებზე: ა. იაცკევიჩ — ა. ცუპაჩენკოს ორთაბრძოლა; 78 კგ წონითს კატეგორიაში გამარჯვებული ელექტროსტალელი ა. ვოლოსოვი.

ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓ ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

ბაკურიანი, 11 თებერვალი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). გუშინ საქართველოს ზამთრის IV სპარტაკიადის მონაწილე იუნიორებს დასვენების დღე ჰქონდათ. ბრძოლებში მონაწილეობდნენ მხოლოდ ვაჟები. მორბენლები 50 კილომეტრზე ცდიდნენ ძალას, „მფრინავი მოთხილამურეები“ 90-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტებოდნენ.

მორბენლებს, რომელთაც წინ მარათონული დისტანცია ედოთ, ამინდი აშკარად არ წყალობდათ: დილით ყინავდა, ცხადია, ყველამ შესაფერი საცხით გაპოხა თხილამურები, მაგრამ მალე ისე დათბა, რომ თოვლმა დნობა დაიწყო. საღამოს კი ბარაქიანად მოთოვა.

შეჯიბრებაში ორი წრის მერე ლიდერობდა თბილისელი სტუდენტი ა. კალმიკოვი, მაგრამ შემდეგ მას გაუსწრეს ბორჯომელებმა ა. მოროზოვმა („ბურევესტნიკი“) და ლ. სოღოიანმა („კოლმეურნე“), რომლებმაც თხილამურებზე შემდნარი თოვლის საწინააღმდეგო საცხის წასმისთვის დრო არ დაიშურეს და საბოლოოდ მოგებულნი დარჩნენ. ჩემპიონი გახდა მოროზოვი — 2:44.22. სოღოიანის შედეგია 2:50.05. კალმიკოვი მას 1.45 წუთით ჩამორჩა. შეჯიბრებაში 27 სპორტსმენი ჩაება, ფინიშთან კი 21 მოთხილამურე მივიდა.

მსაჯთა კოლეგიამ 90-მეტრიან ტრამპლინზე საასპარეზოდ მხოლოდ ექვსი კაცი დაუშვა, ვინაიდან სხვების მომზადების დონე მოთხოვნებს არ შეესაბამებოდა. თუმცა არც ამ ექვსეულში აღმოჩნდა ისეთი მონაწილე, რომელმაც თუნდაც 200 ქულის მოგროვება შეძლო. ჩემპიონმა — თბილისელმა ვ. ბაკავევმა („სპარტაკი“) ტრამპლინზე, სადაც ათობით სპორტსმენი 100 მეტრის იქით გადამხტარა, თავის საუკეთესო ცდაზე 93,5 მეტრი აჩვენა და საბოლოოდ მოგროვილი 186,1 ქულით მოიპოვა ჩემპიონის ტიტული.

II ადგილზე გავიდა ბ. ზანგიევი (თბილისი, „დინამო“) — 169,7 (ნახტომები 80 და 93,5 მ), მესამეზე — ს. ხაჩატურიანი (ბორჯომი, „დინამო“) — 166 ქულა (81,5 და 89 მ).

ამ სახეობაში მონაწილეთა გამოყვანა მხოლოდ თბილისისა და ბორჯომის კოლექტივებმა შეძლეს.

სპარტაკიადის ექვსი დღის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში ლიდერობენ: ბორჯომის ნაკრები — 880 ქულა, თბილისის კოლექტივი — 765 და ბოგდანოვკის გუნდი — 480.

მ. ზაქარეიშვილი.

ᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲑᲘ

ჩეხოსლოვაკიის სამთო კურორტ შპინდლერუვ-მლინის ტრასებზე მიმდინარე ზამთრის უნივერსიადაში სსრ კავშირის მოთხილამურეებმა ნადავლს კიდევ ხუთი მედალი მიუმატეს. ვაჟთა შორის 30 კილომეტრზე რბოლაში მათ სამი მედალი მოიგეს: ოქრო წილად ხვდა ა. ზავიალოვს (მოსკოვის ოლქი) — 1:29.46,21. იაროსლაველი ა. სოკოლოვი და კალუგელი ა. ცურიკოვი შესაბამისად II და III ადგილებზე გავიდნენ.

ქალთა შორის 10 კილომეტრზე რბენაში ზ. შაიხისლამოვამ (ჩელიაბინსკი) ადრე 5 კილომეტრზე შეჯიბრებაში მოპოვებულ „ბრინჯაოს“ ასლა „ოქრო“ დაუმატა — 34.14,03. მას ოდნავ ჩამორჩა თანაგუნდელი მ. არზიავევა (იაროსლავლი), მასპინძლებიდან საუკეთესო ზ. იანოვსკამ ბრინჯაოს მედალი მოიპოვა.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲠᲘᲐᲓᲘᲡ ᲓᲔᲕᲘᲖᲘᲗ

ᲛᲐᲘᲜᲘᲡ ᲤᲠᲐᲜᲙᲤᲣᲠᲢᲘ. მოსკოვის XXII ოლიმპიურ თამაშებს მიეძღვნა 10 თებერვალს გფრ-ის ამ ქალაქში გამართული ჰრეს-კონფერენცია. ჰრესსს, ჩადრისა და ტელევიზიის მოაღლილებელი წარმომადგენლების წინაშე გამოვიდა გფრ-ში ჩასული საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ოლიმპიადა-80-ის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ი. ნოვიკოვი. დელეგაცია გაემგზავრება დასავლეთ-გერმანულ ქალაქ მაინცში, სადაც ეწყობა ტრადიციული სპორტული მეჯლისი მოსკოვის ოლიმპიადის დევიზით.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲐᲚᲙᲐ XXXI ᲧᲠᲘᲚᲝᲑᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲥᲣᲠᲐᲦᲚᲔᲑᲝᲓ!

ყრილობის დელეგატთა რეგისტრაცია იწყრმოეგს 14, 15, 16 თებერვალს დილის 9 საათიდან საღამოს 8 საათამდე ბორის ძნელაძის სახელობის კიოფერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲙᲐᲨᲨᲘᲠᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲗᲘ.

ᲕᲔᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲗ ᲡᲞᲐᲠᲢᲐᲙᲘᲐᲓᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ

ᲡᲐᲡᲐᲠᲒᲔᲑᲚᲝ ᲡᲘᲐᲮᲚᲔᲜᲘ

ᲓᲐᲘᲬᲧᲝ საქართველოს სსრ VII სპარტაკიადის პირველი ეტაპის შეჯიბრებები — საწარმოების, დაწესებულებების, კოლმეურნეობების, საბჭოთა მეურნეობების, მშენებლობების, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების, პროფტექგანათლების სასწავლებლების, ტექნიკუმების, უმაღლესი სასწავლებლების, საბინაო-საექსპლოატაციო კანტორებისა და სახლმმართველობების, სამხედრო ნაწილებისა და ქვეგანყოფილების კოლექტივების მასობრივი შეჯიბრებები და სპარტაკიადები.

ტურნირების პროგრამაშია სპორტის ყველაზე მასობრივი, პოპულარული სახეობები, მშდ კომპლექსის მრავალჭიდი, სამხედრო-ტექნიკური და სპორტის ეროვნული სახეობები.

ფიზკულტურის კოლექტივების მასობრივი შეჯიბრებები და სპარტაკიადები ყოველწლიურად სამ ტურად (საგაზაფხულო, საზაფხულო, საშემოდგომო) მოეწყობა.

1978-79 წლებში გაიმართება სპარტაკიადის II ეტაპი — სარაჟონო, საქალაქო, საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების სპარტაკიადები, ხოლო 1979 წლის მარტ-აპრილში ჩატარდება III ეტაპი — საქართველოს დასავლეთი და აღმოსავლეთის ზონების სპარტაკიადები, რომელთა მონაწილენი ერთმანეთს შეჯიბრებიან 12 სახეობაში: ფეხბურთში, კალათბურთში, ფრენბურთში, ჭიდაობის ხუთივე სახეობაში, მძლეოსნობაში, საგზატკეცილო ველოსიპედში, ლელოში, მშდ კომპლექსის მრავალჭიდში.

ზონალურ შეჯიბრებებში თავისუფალ და კლასიკურ ჭიდაობაში, სამბოში ასპარეზობები გაიართება მხოლოდ „დეფიციტურ" წონით კატეგორიებში — 48, 52, 100 და 100 კგ-ს ზევით, ძიუდოში კი 93 და 93 კგ-ს ზევით წონებში. ველოსიპედისტთა შეჯიბრების პროგრამაში შეტანილია 25 კილომეტრზე ინდივიდუალური და 100 კილომეტრზე ჯგუფური ბრიღადები. მშდ მრავალჭიდელები გამოყვანენ: III საფეხურის პროგრამით 2-2 გოგონასა და ჭაბუკს, IV საფეხურის პირველ ასაკობრივ ჯგუფში — ასევეთვე შემადგენლობას, მეორე ასაკობრივ ჯგუფში — თითო ქალსა და ვაჟს.

მძლეოსანი ქალებისთვის კოეფიციენტი იქნება 1,5.

საქართველოს სპარტაკიადის ბოლო — IV ეტაპია რესპუბლიკური ფინალური ასპარეზობანი (1979 წლის მაის-ივნისი), რომლის სტარტებს 34 სახეობაში 13 ქალაქი უმასპინძლებს. ფინალში გამოვლენ აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, ქალაქებისა და ზონებში პირველ ადგილებზე გასული კოლექტივები.

საქართველოს სსრ ფინალური სპარტაკიადის პროგრამაში, სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადის 30 სავალდებულო სახეობის გარდა, იქნება ქართული ჭიდაობა, ლელო, მშდ მრავალჭიდი და ცხენოსნობის ეროვნული სახეობები (ისინდი, ცხენბურთი, 8000 მეტრზე მარული).

საქართველოს ზონალურ და ფინალურ შეჯიბრებებში რაიონების გუნდების შემადგენლობაში დაიშვებიან სპორტსმენები, რომლებიც ამ რაიონების ტერიტორიაზე გაწერილი არიან 1978 წლის 1 იანვრამდე. ხოლო ისინი, ვინც უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების დასწრებულ განყოფილებაზე (ფაკულტეტზე) 1977-1978 სასწავლო წელს ჩაირიცხნენ, შეჯიბრებებში დაიცავენ იმ რაიონის (ქალაქის) ღირსებას, სადაც სასწავლებელში შესვლამდე ცხოვრობდნენ.

სპორტსმენებს, რომლებიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით არიან გაწერილი, მაგრამ ახლომდებარე რაიონის ტერიტორიაზე მუშაობენ, წესის თანახმად უფლება აქვთ სპარტაკიადაში დაიცვან იმ რაიონის ღირსება, სადაც მუშაობენ.

სპორტსმენებს უფლება ექნებათ გამოვიდნენ მხოლოდ ერთ სახეობაში; საქართველოს სპარტაკიადამდე გამართულ რესპუბლიკურ ჩემპიონატებში I-III ადგილებზე გასულ კოლექტივებს (იმ სახეობებში, რომლებიც ზონალური სპარტაკიადების პროგრამაში არ შედის) უფლება აქვთ ფინალურ სპარტაკიადაში მიიღონ მონაწილეობა; ამასთან ფინალში მათ მიერ მოპოვებული ქულები დაემატება ზონებში მიღებულ ნადავლს, თუნდაც ეს სახეობა ზონალური სპარტაკიადის პროგრამაში არ შედიოდეს.

სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაკიადა გაისად, ივლისში გაიმართება, პროგრამის 28 სახეობას უმასპინძლებს მოსკოვი — XXII ოლიმპიადის დედაქალაქი. ფაქტიურად ეს იქნება 1980 წლის ოლიმპიადისთვის მზადყოფნის შემოწმება. სპარტაკიადის პროგრამით აფროსანთა შეჯიბრებები ტალინში, ხოლო ჩოგბურთელთა ტურნირი რიგაში ჩატარდება.

ხალხთა წინა VI სპარტაკიადისგან განსხვავებით მორიგი სპარტაკიადის პროგრამაში ერთგვარი ცვლილებაა: დაემატა სამი სახეობა — მხატვრული ტანვარჯიში, ბალახის ჰოკეი და ფეხბურთი.

საკავშირო სპარტაკიადაში რესპუბლიკების ნაკრები გუნდების მონაწილეობის შედეგი განისაზღვრება ქულათა საერთო ჯამით, რომელსაც მოაგროვებენ ნაკრები გუნდების წევრები პირად და გუნდურ სახეობებში, სპორტთამაშებში, პლიუს II საკავშირო ახალგაზრდულ თამაშებში (კოეფიციენტი 0,6) და მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადაში (კოეფიციენტი 0,3) მიღებული ქულები.

საკავშირო სპარტაკიადის ფინალურ შეჯიბრებებში ინდივიდუალურ და პროგრამის გუნდურ სახეობებში ქულებს მიიღებენ 1-8 ადგილებზე გასულნი, სპორტთამაშებში — 1-12 ადგილების მფლობელნი, მძლეოსნობასა და ცურვაში — ის სპორტსმენები, რომლებიც 16 უძლიერესთა შორის მოხვდებიან.

კალათბურთის, წყალბურთის, ხელბურთის, ფრენბურთის, ფეხბურთის, ბალახის ჰოკეისა და ჩოგბურთის გარდა სხვა სახეობებში პარალელურად გათამაშდება სპარტაკიადისა და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდება.

Ბ. ᲐᲑᲠᲐᲜᲐᲢᲘ,
საქართველოს სპორტკომიტეტის სპორტულ-მეთოდური სამმართველოს უფროსი ინსპექტორი.

ᲓᲠᲝᲣᲚᲘ ᲗᲐᲓᲐᲠᲘᲒᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ მოსწავლე ტანმოვარჯიშეები საკავშირო სპარტაკიადის დაწყებამდე თითქმის წელიწადზე მეტი ხნით ადრე შეუდგნენ მზადებას. ამ პერიოდში დადგინდა ნაკრები გუნდის სორიენტაციო მოდელი, მოეწყო საქალაქთაშორისო, საკავშირო და საერთაშორისო ტურნირები.

ჯერ კიდევ შარშან შემოდგომაზე ჩატარებული საკონტროლო შეჯიბრების საფუძველზე შეირჩა 19-19 საუკეთესო გოგონა და ჭაბუკი, რომლებმაც განაგრძეს ერთობლივი წვრთნა თბილისის სპორტკომიტეტის ტანვარჯიშულ ბაზაზე. ამას მოჰყვა რამდენიმე სასწავლო-საწვრთნელი შეკრება. შედგა მოსწავლეთა XV სპარტაკიადისთვის მზადების ერთწლიანი პერსპექტიული გეგმა. ამ გეგმის მიხედვით გათვალისწინებულია კიდევ ერთი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება, რომლის დროსაც, ინტენსიური ვარჯიშის გარდა, ბავშვები მოწვეული პედაგოგების დახმარებით იმეცადინებენ მათემატიკაში, ფიზიკასა და ქიმიაში, მოეწყობა პოლიტინფორმაციები, საუბრები სხვადასხვა საკითხებზე, ექსკურსიები, თეორიული მზადება, დაწესდება მკაცრი საექიმო კონტროლი.

ამჟამად გოგონათა ნაკრები გუნდი სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაზე იმყოფება ესენტუკში, ხოლო ჭაბუკთა ნაკრები თბილისში ვარჯიშობს. სასწავლო-საწვრთნელი შეკრების უმრავლესობა ჩატარდება ჩვენს რესპუბლიკაში, კერძოდ დაბა ლესელიძესა და ეშერაში. თითოეული მონაწილისთვის შედგენილია მზადების ინდივიდუალური გეგმა, სადაც გათვალისწინებულია როგორც ტექნიკური და ფიზიკური მომზადების, ისე საშეჯიბრებო ციკლის ყველა დეტალი.

მოსწავლეთა XV საკავშირო სპარტაკიადისთვის მზადების პერსპექტიული გეგმა დაყოფილია ოთხ ეტაპად. პირველი წარმოადგენს საორგანიზაციო ეტაპს, გუნდისთვის კანდიდატების შერჩევას, შეკრების ადგილების დაზუსტებას და სხვ. მეორე ეტაპი ითვალისწინებს ახალი საკავდებულო პროგრამისა და ნებისმიერი ვარჯიშებისთვის ილეთთა შესწავლას, საერთო-ფიზიკური მომზადების სრულყოფას, მესამე ეტაპი განსაზღვრავს შესწავლილი ილეთების განტაციებას. მეოთხე ეტაპი — საკალდებულო და ნებისმიერი ვარჯიშების საბოლოო დახვეწას. ეს საქმე დავალებული აქვს ნაკრები გუნდის მწვრთნელთა კოლექტივს, სადაც საბჭოთა კავშირის დამსახურებული მწვრთნელების ნოდარ ბახუტაშვილს, ემა ქოლიეკვას, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელების ვალენტინა კლიმოვას, სერგო ბურჯანაძის, იგიტ პაზიკიანისა და ოთარ მიქელაძის გვერდით დგანან ახალგაზრდა მწვრთნელები დალი სირაძე, გიორგი გიუტაშვილი, მარგარიტა კრასილნიკოვა, გარი გასპარიანი, ტარიელ მუჩიაშვილი, ბორის აბრამიშვილი, ნიკოლოზ ჭანტურია, მიხეილ ბოგუსი, გივი კილაძე, სერგო ტოროსიანი. სწორედ გამოცდილებისა და ახალგაზრდობის ისეთმა ნაერთმა ჩამოაყალიბა საინტერესო, მეგობრული კოლექტივი, რაც მომავალი წარმატების კარგ საწინდრად მიგვაჩნია.

საქართველოს მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა ნაკრები გუნდი თითქმის მთლიანად თბილისელი მოსწავლეებითაა დაკომპლექტებული, გამონაკლისია ბათუმელი მოსწავლე ირინე ქორიძე (მწვრთნელი, საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი ნ. გაბრიაძე). თუ წინა წლებში მოსწავლეთა ნაკრებ გუნდში ზშირად ვხვდებოდით ქუთაისის, სოხუმის, ზუგდიდის, გორის, სამტრედიის წარმომადგენლებს, ახლა ამ ქალაქებიდან ვერავრ ვღებულობთ ღირსეული ცვლას, რაც იქ მომუშავე მწვრთნელების უღიმღამო საქმიანობაზე მეტყველებს.

რესპუბლიკის მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა წვრთნა შეუფერებლად მიმდინარეობს. საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო და რესპუბლიკის სპორტკომიტეტი მზრუნველობისა და ყურადღებას არ აკლებენ მათ. ყველაფერი ეს გვაფიქრებინებს, რომ ტანმოვარჯიშეთა მთელი კოლექტივი სპარტაკიადაზე გამოავლენს თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს.

Ჯ. ᲥᲕᲘᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ,
საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მთავარი მწვრთნელი სპორტულ ტანვარჯიშში.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა ჩიატარა სამოქალაქო თავდაცვის საკითხებისადმი მიძღვნილი მორიგი გასვლითი მეცადინეობა, რომლის მსვლელობის დროს დამუშავდა საკითხები მასობრივი განადგურების იარაღისგან მოსახლეობის დაცვის შესახებ.

წინასწარ შემუშავდა სამეცადინო გეგმით გათვალისწინებული ზოგიერთი საკითხი სამოქალაქო თავდაცვის მოთხოვნების პრაქტიკული შესრულების თაობაზე, თავდაცვის ინდივიდუალური საშუალებებისა და სამოქალაქო თავდაცვის სპეციალური მოწყობილობების გამოყენების ღონისძიებებზე და სხვ.

მეცადინეობის შედეგების შეჯამებისას ყურადღება გამახვილდა ზოგიერთ ნაკლოვანებაზე, განსაკუთრებით მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მხრივ. დაისახა მათი აღმოფხვრის ღონისძიებანი.

* * *

სურათზე: სამოქალაქო თავდაცვაში გასვლითი მეცადინეობის დროს.

თ. ქიქავას ფოტო.

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ

ᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲜᲘᲗᲐᲜ ᲡᲣᲠᲐᲗᲘᲗ

აქ ჩატარდა სამხრეთ ოსეთის თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა ჩემპიონატი ახალგაზრდების შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა ქალაქ ცხინვალის, ლენინგორის და ჯავის რაიონების 50 სპორტსმენი.

წონითი კატეგორიების მიხედვით ოქროს ჩემპიონები გახდნენ ცხინვალელი ათლეტები: ფ. ჩოჩიევი, გ. თედეევი, ხ. ფლიევი, ვ. ფლიევი, თ. ფლიევი, თ. სიუკაევი, ა. ჯიოევი, ჯ. ჩოჩიევი და შ. თედეევი.

Ვ. ᲕᲔᲚᲘᲝᲕᲘᲩᲘ.
(ჩვენი კორ.).

ᲒᲕᲬᲔᲠᲔᲜ, ᲒᲕᲐᲪᲧᲝᲑᲘᲜᲔᲑᲔᲜ...

ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲘ ᲫᲕᲔᲚᲘᲡᲬᲘᲜᲐᲓ სახალხო თამაშად იქცა საქართველოში. მისი თაყვანისმცემლების მონაწილეობით ხშირად იმართება ტურნირები, შეხვედრები. მათ შესახებ რედაქციაში ყოველდღიურად ბევრი წერილი და ინფორმაცია შემოდის. დღეს გვინდა გაგაცნოთ ზოგი მათგანი.

სოხუმელი კორესპონდენტი **შ. ჯალაღონია** გვატყობინებს, რომ აფხაზეთის ჩემპიონის სახელი მოიპოვა ახალგაზრდა მოჭადრაკემ რ. დადიანმა. მან მატჩ-ტურნირში აჯობა შ. კვარაცხელიას და ლ. ქუხილავას.

ე. ნიკოლეიშვილი გვწერს, რომ ოსტატობის კანდიდატი მ. არჩვაძე კვლავ გახდა სამტრედიის რაიონის ჩემპიონი.

დიდ ინტერესს იწვევს რაიონის პირად-გუნდური შეჯიბრებები, ამას წინათ ასეთი შეჯიბრება მოეწყო ზუგდიდის გუნდებს შორის, რომელთა შედეგებს გვაცნობს ჩვენი კორესპონდენტი **კ. ფიფია.** ტურნირში 40 მონაწილე იყო. გოგონათა შორის I-II ადგილები გაიყვეს მ. არონიამ (რაიკომკავშირი) და მ. ლაგვილავამ (ონარია). ჭაბუკთა შორის იმარჯვა ბ. ლაგვილავამ (ონარია), ქალთა შორის — ქ. ვეკუამ (რიყე). ვაჟებში ყველას აჯობა ოსტატობის კანდიდატმა ვ. ფალავამ (ონარია). გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ონარიას ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდი.

როგორც **ნ. დევიძე** გვწერს, ასეთივე პირად-გუნდური შეჯიბრება გაიმართა ანგისაში (ხელვაჩაურის რაიონი), ოღონდ ეს ღონისძიება აჭარის სპორტული თამაშების პროგრამით იყო გათვალისწინებული. მასში მონაწილეობდნენ ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის და ქედის რაიონების გუნდები.

გუნდურ პაექრობაში ყველას აჯობეს ქობულეთელებმა, პირადში I ადგილები დაიკავეს: გოგონებში — მ. ნაკაშიძემ (ხელვაჩაური), ჭაბუკებში — ი. მართალიშვილმა, ქალებში — დ. ჯინჭარაძემ (ორივე — ქობულეთი), ვაჟთა შორის I-II ადგილები გაიყვეს გ. ზეინალოვმა (ქობულეთი) და ნ. ფალავამ (ხელვაჩაური).

რ. ჭანტურია აბაშიდან გვატყობინებს, რომ რაიონის რვაწლიანი სკოლების მოჭადრაკეებმა მოაწყვეს თავიანთი პირად-გუნდური შეჯიბრება. სტარტზე ხუთი გუნდი გამოვიდა. უძლიერესის სახელი დალავამ (ონარია), ქალთა შორის — ქ. ვეკუამ (რიყე). ვაჟებში ყველას აჯობა ოსტატობის კანდიდატმა ვ. ფალავამ (ონარია). გუნდურ ჩათვლაში ჩემპიონი გახდა ონარიას ჩაის საბჭოთა მეურნეობის გუნდი.

როგორც **ნ. დევიძე** გვწერს, ასეთივე პირად-გუნდური შეჯიბრება გაიმართა ანგისაში (ხელვაჩაურის რაიონი), ოღონდ ეს ღონისძიება აჭარის სპორტული თამაშების პროგრამით იყო გათვალისწინებული. მასში მონაწილეობდნენ ქობულეთის, ხელვაჩაურის, შუახევის და ქედის რაიონების გუნდები.

გუნდურ პაექრობაში ყველას აჯობეს ქობულეთელებმა, პირადში I ადგილები დაიკავეს: გოგონებში — მ. ნაკაშიძემ (ხელვაჩაური), ჭაბუკებში — ი. მართალიშვილმა, ქალებში — დ. ჯინჭარაძემ (ორივე — ქობულეთი), ვაჟთა შორის I-II ადგილები გაიყვეს გ. ზეინალოვმა (ქობულეთი) და ნ. ფალავამ (ხელვაჩაური).

რ. ჭანტურია აბაშიდან გვატყობინებს, რომ რაიონის რვაწლიანი სკოლების მოჭადრაკეებმა მოაწყვეს თავიანთი პირად-გუნდური შეჯიბრება. სტარტზე ხუთი გუნდი გამოვიდა. უძლიერესის სახელი დაისაკუთრეს რუსულ-ქართული სკოლის წარმომადგენლებმა. პირველ დაფაზე — გ. გაბუნიამ (ეწერი), კ. გაბუნიამ (გეზათი), პ. ჩიტაია (აბაშა) I-III ადგილები გაიყვეს, მეორეზე გაიმარჯვა ფირცხალავამ (განკარი), მესამეზე — ნანა ცომაიამ (აბაშა).

მოსწავლეთა რესპუბლიკურ ზონალურ ტურნირს ჯუდამ ბევრი მონაწილე ჰყავს. ამას წინათ ასეთი შეხვედრები ჩატარდა მცხეთასა და სამტრედიაში.

— მცხეთაში, — გვწერს ჩვენი კორესპონდენტი **ვ. მელქოვი,** — თავი ისახელა ცხინვალის გუნდმა (მ. ამირაღოვა, ა. ჯოხოლავი, ს. ჯაშვილი და ი. თებლოევი), რომელმაც ნახევარფინალში თამაში უფლება მოიპოვა. ჩოხატაურელ კორესპონდენტი **დ. გურგენიძე** გვატყობინებს, რომ სამტრედიაში იმარჯვეს ამ რაიონის წარმომადგენლებმა (ა. ბერძენიშვილმა, ნ. ერამიშვილმა, ა. ბერაიამ, ლ. დოლიძემ), რომლებმაც დასკვნითი ტურში მასპინძლებს სძლიეს.

ზონალურ ტურნირში გამარჯვებულნი ერთმანეთს შეხვდებიან ცხაკაიაში, მოსწავლეთა საგაზაფხულო არდადეგების დღეებში.

ᲪᲕᲚᲐ ᲦᲘᲠᲡᲔᲣᲚᲘ ᲘᲖᲠᲓᲔᲑᲐ

თელავის ბავშვთა სპორტული სკოლის დარბაზში სამ დღეს გრძელდებოდა მოსწავლეთა რესპუბლიკური პირადი პირველობა ჭიდაობა ძიუდოში 1961-63 წლებში დაბადებულ ჭაბუკებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდა რესპუბლიკის 21 ქალაქისა და რაიონის 160 წარმომადგენელი. წონითი კატეგორიების მიხედვით ვიმარჯვეს: დ. ხორგუაშვილმა (თბილისი), გ. ბესსიშვილმა (გორი), გ. წოწკოლაურმა (დუშეთი), ე. მსხალაძემ (გორის რაიონი), ჯ. მჭედლიშვილმა (გორი), დ. გელაშვილმა (ორჯონიკიძის რაიონი), დ. ხუსკივაძემ (ზესტაფონი).

შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა გ. ნათელაშვილმა ჩვენთან საუბარში განაცხადა: „შეჯიბრების შედეგებით კმაყოფილი ვართ. უეჭველია, რომ ღირსეული ცვლა იზრდება. რესპუბლიკის ნაკრებში აგიყვანეთ ყველა საპრიზო ადგილზე გამოსული სპორტსმენი. ისინი სპეციალურ შეკრებას გაივლიან. განსაკუთრებით მოგვეწონა: ჯ. მჭედლიშვილი, დ. გელაშვილი და ე. ხუსკივაძე, რომლებიც ჩვენი ბაზრით, საკავშირო მოსწავლეთა სპარტაკიადაზე ოქროს მედლების მოპოვების რეალური პრეტენდენტები არიან.

მაღლობის მეტი არაფერი გვაქვს ქმის თელავის სპორტული სკოლის და ფიზკულტურის კომიტეტის ხელმძღვანელობის მიმართ, რომლებმაც ყველა პირობა შექმნეს, ასეთ შეჯიბრება მაღალ ორგანიზაციულ დონეზე ჩატარებულიყო.

Ბ. ᲔᲚᲘᲝᲜᲯᲘᲨᲕᲘᲚᲘ.

ფეხბურთი-78

სსრ კავშირის 1978 წლის საფეხბურთო ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებს უმაღლესი ლიგის 16 გუნდი. პირველ ლიგაში გადის 20, ხოლო მეორე ლიგის 6 ნონაში — 21-25 კოლექტივი.

უმაღლესი ლიგის გუნდების ჩემპიონატი მოეწყობა 2 წრედ, გათამაშება დაიწყება 8 აპრილს.

1979 წელს უმაღლეს ლიგაში ერავ 18 გუნდი ითამაშებს. დებულების თანახმად, უმაღლესი ლიგის კოლექტივების წლევანდელ ჩემპიონატში გუნდი, რომელიც ბოლო ადგილს დაიკავებს, მომავალ წელს პირველ ლიგაში ითამაშებს, ხოლო ლიგაში პირველ 3 ადგილზე გასული კოლექტივები კი უმაღლეს ლიგაში გამოვლენ.

არის სხვა სიახლეებიც. შეიცვალა ქულათა დარიცხვის წესი მატჩების ფრედ დამთავრების შემთხვევაში. გუნდს, რომელიც ტურნირში 8 თამაშს ფრედ დაამთავრებს, ერთელ წესისამებრ, თითო ქულა დაერიცხება, მაგრამ მომდევნო მატჩების ფრედ დამთავრების შემთხვევაში იგი ქულას ვეღარ მიიღებს. ე. ი. ფრე ამ შემთხვევაში ბურგას უდრის.

დიდი უფლებები ეძლევა საალეგიო ჟიურის, რომელიც დეტალურად განიხილავს თითოეული ტურის შედეგებს. მას შეუძლია დასაჯოს მწვრთნელები, ფეხბურთელები, გუნდები და გააუქმოს ზოგიერთ მატჩის შედეგი.

საკავშირო სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველომ შეჯიბრებაში მონაწილე კოლექტივებს დაუსახა სასწავლო-საწვრთნელი პროცესისა და აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები. ყოველივე ამის მიზანია ებრძოლონ მატჩების განზრახ ფრედ დამთავრებას, მოთამაშეთა არასპორტულ საქციელს...

დებულებაში შეტანილია პუნქტი, რომლითაც რესპუბლიკურ და საქალაქო სპორტკომიტეტებს ევალებათ საფეხბურთო მინდვრები აღჭურვონ ხელოვნური გათბობის საშუალებებით. ვისაც 1979 წელს ასეთი მინდვრები არ ექნება, საკავშირო ჩემპიონატისა და თასის გათამაშების მატჩებს ადრე გაზაფხულზე და გვიან შემოდგომით იგი სამხრეთის ქალაქებში გამართავს.

ფეხბურთი შეტანილია სსრ კავშირის ხალხთა 1979 წლის სპარტაკიადის პროგრამაში. ამ ტურნირში იასპარეზებენ რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები.

დებულება ითვალისწინებს, რომ სპარტაკიადის თამაშები ჩატარდეს მსოფლიო ჩემპიონატის ფორმულის ანალოგიურად. ამასთან 4 ქვეჯგუფის შემადგენლობა განისაზღვრება კენჭისყრით, მაგრამ ოსტატთა გუნდების მიერ სსრ კავშირის 1978 წლის ჩემპიონატში ნაჩვენები შედეგების საფუძველზე.

საუკეთესო მსაჯები

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდიუმმა მსაჯთა კოლეგიის წარდგინებით დაამტკიცა რესპუბლიკის 10 საუკეთესო არბიტრის სია (ანბანის მიხედვით): დ. აბუთიძე (ქუთაისი), ნ. ამირეჯიბი, დ. გაგნიძე, ვ. ეჯიბია (ყველა — თბილისი), გ. სეფიაშვილი (სამტრედია), რ. ტალიაშვილი, რ. ფანჯარაშვილი, უ. ფურცელაძე, ლ. ღონღაძე, ა. ხარატიშვილი (ყველა — თბილისი).

18 თებერვალს, ციურიხში

ფეხბურთის საერთაშორისო კომისიის გადაწყვეტილებით ერგენტინაში მატჩების სამსაჯოდ ამორჩეულ 50-კაციანი სპეციალური სიიდან 30 და 32 მაღალკვალიფიციური არბიტრი. ეს გადაწყვეტილება საბოლოო სახეს მიიღებს 18 თებერვალს სპეციალურ სხდომაზე, რომელიც ციურიხში გაიმართება.



ავსტრალიის, ახალი ზელანდიისა და ოკეანიის „უნძულების სპორტსმენთა-მოყვარულებმა“ მონაწილეობა მიიღეს საბჭოთა თბომავალ „ფიოდორ შალიაპინის“ მეზღვაურებთან გამართულ მრავალრიცხოვან შეხვედრებში. ამ რეისის დროს მათ 40-ზე მეტი საერთაშორისო მატჩი ჩაატარეს. საბჭოთა ქვეყნის წარმომადგენლების მეტოქეები იყვნენ სიდნეის ავტობუსის ძოლოსნები, ოკლენდის (ახალი ზელანდია) პორტის მოსამსახურეები, ბრისბენელი (ავსტრალია) და ნუკალოფელი (ტონგას სამეფო) სტუდენტები, სხვადასხვა ქვეყნების გემების ეკიპაჟები.

— ჩვენი ეკიპაჟი თერთმეტი თვის მანძილზე ემსახურებოდა უცხოელ ტურისტებს, — თქვა სპორტსაზოგადოება „ოდნიკის“ გემის საბჭოს თავმჯდომარემ, ხომალდის მთავარმა ექიმმა ვ. კოროვიცკიმ. — თავისუფალ დროს ფიზკულტურასა და სპორტში ვარჯიშისა და მშდ კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად ვიყენებდით. რეისის მეორე ნახევარში მშდ-ის სამკერდე ნიშანი ეკიპაჟის 172 წევრმა დაიმსახურა.

— ჩავატარეთ სპორტაციადა, რომლის პროგრამაში იყო შეჯიბრებები ფრენბურთში, ფეხბურთში, ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭიდაობაში, ძალოსნობასა და ბაგირის გადაძალვაში.

ლაინერზე არის სპორტდარბაზი, აუზი, გემბანზე მოწყობილია მოედნები. ამ რეისის დროს სექციებში ვარჯიშობდა 180 კაცი.

თერთმეტთვიანი რეისი უკან დარჩა. შორეული აღმოსავლეთის საზღვაო ნაოსნობის სამგზავრო ლაინერი „ფიოდორ შალიაპინი“ ვლადივოსტოკში დაბრუნდა.

ნ. მოისეევი,
საკდესის კორ.
ვლადივოსტოკი.

კრივის მოყვარულის კუთხე

საბოლოოდ კრივის ცნობილი წარმომადგენელი, სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონი, სპორტის დამსახურებული ოსტატი **ალგირდას შოციკასი** თავის წიგნში „მეოთხე რაუნდი“ გამოთქვამს საკუთარ მრწამსს კრივის შესახებ. იგი როდი ჩქმალავს იმ სიძნელეებს, როშლებიც სპორტის ამ რთული სახეობის თანმხლებია, მაგრამ კრივის იმ მხარეებსაც წარმოაჩენს, რომლებიც ხელს უწყობენ ადამიანში ძვირფასი თვისებების, სულიერი სიმედგრის, მხნეობისა და შეუდრეკლობის აღშენებას. შესანიშნავი მოკრივის მოგონებათა კრებულიდან ეს ვრცელი პასაჟი ჭართულად იმად გადმოვიღეთ, მკითხველს წარმოდგენა ჰქონოდა თუ რა ასკეცად ანაზღაურებს კრივი იმ ძნელბედობებს, რაიც რინგზე ძებრძოლის წილხვედრია. ეს იყო მიზანი.

ედიშერ გიორგაძე.
საქართველოს კრივის ფედერაციის აგიტაციისა და პროპაგანდის კომისიის თავმჯდომარე.

რინგზე ბრძოლის შინაარსი

კრივი ყველაზე მამაკაცური, თუ შეიძლება ასე ითქვას ულტრამამაკაცური სპორტის სახეობაა.

სპორტის ყველა სახეობიდან მხოლოდ კრივმა შემოინარჩუნა მამაკაცური ორთაბრძოლის თავდაპირველი შინაარსი.

ვერც ერთი სახის ორთაბრძოლა, იქნება ეს სამბო, ძიუდო თუ კარატე, ვერ დაიკვეხნის ასეთი უპირატესობით. ყველა ესენი მოქცეულია ათასგვარი წესებისა და შეზღუდვების არტახებში და თითქმის მთლიანად დაკარგული აქვთ მამაკაცური ორთაბრძოლის პირველქმნილი სახე, მისი ნამდვილი, შეუნიღბავი იერი.

კრივი ამ გაგებით, მიუხედავად ჩვენი ნება-სურვილისა, უფრო კონსერვატორული გამოდგა და მან საოცრად შეუფარველი სახით შემოინახა ფიზიკური შემართების უშდეგათო ბუნება.

კრივის ატრიბუტებს, რინგის ბაწრებსა და ხელთათმანებს, როდი მოაყენა თან ათასგვარი შეზღუდვები და აღკვეთები. ამით სულაც არ დამახინჯებულა კრივის პირველსაწყისი ბუნება, ცალკეულ, წელს ქვემოთ, ანდა ღია ხელთათმანით დარტყმებზე დადებული ვეტო სათვალავში მისაღები არ არის. ეს აღკვეთები მხოლოდ ცხრილავს კრივის არსენალიდან მისთვის არადამახასიათებელ, უპატიოსნო ილეთებს.

იტყვიან ხოლმე, „კრივი ხელთათმანებით ფარიკაობაა“, ანდა „კრივი ცოდნის გაზიარებაა ჟესტების საშუალებით“.

ეს მოარული გამოთქმები აზრგაცლილი სიტყვების გროვად წარმოგვიდგება, ვინაიდან რინგზე სიტყვებით კი არ ფარიკაობენ, არამედ იბრძვიან. იბრძვიან მთელი თავგამოდებით. ასეთია სპორტის ამ სახეობის ნამდვილი შინაარსი.

მოკრივე სულაც არ ცდილობს გაიარმავოს მეტოქის სპორტული ერუდიცია, არც მისი ოსტატობის ამაღლება აქვს ფიქრად. იგი მეცადინეობს ნოკაუტში გაგზავნოს მოწინააღმდეგე. რინგზე იმ გადაწყვეტილებით გამოდის, რომ გაიმარჯვოს. რევერანსებისათვის სადა სცალია.

მკაცრია კრივის ბუნება. ამიტომაც ყოველთვის მოიძებნებოდა და მოიძებნება კიდევ ისეთი ხალხი, ვინც კრივს ბარბაროსობას სწამებს, არაჰუმანურობას და შავ ლაქებს არ იშურებს სპორტის ამ სახეობისთვის. ამის მოქმედნი, როგორც წესი, ისეთი ხალხია, ვისაც არასოდეს ჩაუცვამს ტყავის ხელთათმანი. გარედან მხოლოდ ფორმა ჩანს, საქმის ვითარების არსი დაფარულია.

ეს კია, კრივი სპორტის ერთადერთი სახეობაა, სადაც ტკივილი და სისხლი კანონიერადაა მიჩნეული (სამბოში, მაგალითად, ტკივილი ილეთი ბოლომდე არ ტარდება).

საშუშუხაროა, მაგრამ აგრეა, მოკრივე ხშირად სიკვდილსაც ეთამაშება. ტოკიოს გაზეთების ცნობით ამ უკანასკნელი სამი ათეული წლის მანძილზე იაპონიის რინგზე ორასამდე მოკრივე დაიღუპა.

მართალია, ამ შემთხვევაში საქმე პროფესიულ კრივს ეხება, მაგრამ საშოყვარულო კრივიც რიდი ზიანისაგან დაზღვეული. თუმცა სტატისტიკა მოწმობს, რომ მოყვარული მოკრივეები გაცილებით ნაკლებ ტრავმებს იღებენ, ვიდრე ჰოკეისტები, ფეხბურთელები ანდა სამოო მოთხილამურეები, მაგრამ მიუხედავად ამისა ტრავმები იშვიათი როდია, ამასთან ზიანი ზოგჯერ საკმაოდ სერიოზულიცაა და სიმშიც.

ახლა ერთი ანალოგია.

ქირურგიც ხომ არ ერიდება სხეულის მკურნალობისას სისხლს და ტკივილს. მერე და ვის გაუხდია ამ მიზეზით მისი მეთოდები საკამათოდ?!

გვეტყვიან ეს აუცილებელია, ამას გვჯერდი არ აევლებაო.

ჰო, მაგრამ იქნებ სხვაგვარი მკურნალობაც აუცილებელია. სპორტი ადამიანის ხასიათსაც კურნავს და უფრო მეტიც, სულსაც. იგი, სიმედგრეს, სიმამაცეს, შეუდრეკლობას უნერგავს ადამიანს. ანიჭებს საკუთარი თავის რწმენას და უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ უკან იტოვებს სპორტის სახეობების უმრავლესობას.

სამბოს, ძიუდოსა და კარატეს ჭიდაობის დროს ორი მოწინააღმდეგე უმეტესად ტექნიკური ილეთების დემონსტრირებას ახდენს, რინგზე კი პირველ ყოვლისა წარმოჩინდება მოკრივის სული, მისი ხასიათის ნიშანთვისება.

ხალიჩაზე ბრძოლის წაგება უსიამოვნოა, მაგრამ სამარცხვინო როდია. რა ბედნაა თუ სპორტსმენს არ ეყო ოსტატობა, ანდა ფიზიკური ძალა.

სრულიად სხვა ყაიდისაა რინგზე დამარცხება. შესაძლოა ლაჩრობად ჩაგითვალონ და მიზეზად მამაკაცისთვის შეუფერებელი და უპატიებელი რამ დაგწამონ — ტკივილს ვერ იტანსო. ასეთი რამ ემოციურად გაცილებით რთულად განიცდება, რადგან საქმე ეხება ადამიანის ხასიათის სიმტკიცეს. ეს კი მეტად მოწყვლადი ადგილია მამაკაცისთვის. უპასუხოდ დატოვებული უსამართლოდ გაწნული სილაქი გაცილებით უფრო მტკივნეულია, ვიდრე თუნდაც ისეთი შემარყეველი დარტყმა, რომელსაც ნოკაუტი მოსდევს.

აქვე ვიტყვით, ფიზიკური დამცირების არიდების ყველაზე უტყუარი ხერხი შეალება ისევ და ისევ კრივია. ვინც ფლობს ამ ხელოვნებას, ყოველთვის შეუძლია ღირსეული პასუხი გასცეს რომელიც გნებავთ წონითი კატეგორიის ხულიგანს.

რაც შეეხება რინგზე მიღებულ დარტყმებს, არც ისინია დიდად საამაყო მოკრივისთვის. ამიტომაა, რომ მოკრივე იშვიათად წყვეტს ბრძოლას თავისი ნებით, თუნდაც მაშინ, როცა ის ძალზე შეჭირვებულ მდგომარეობაშია. იგი ღირსეული მოთმინებით ელის როდის მოიმოქმედებს ამას მსაჯი ან სეკუნდანტი. დარტყმებსაც ისე იტანს, არც სახეს ღრიცავს ტკივილისგან და არც თავპირი ჩამოსტარის. კარგად უწყის, ნამდვილ მამაკაცს, ჭეშმარიტ მოკრივეს არა აქვს ამის უფლება. მოკრივე მოვალეა ყველა შემთხვევაში შეინარჩუნოს ღირსება და გამომეტყველებაც ისეთი ჰქონდეს, თითქოსდა აქ არაფერიაო. ეს კი ითვლი როდია, როცა გოროზი მოწინააღმდეგე არაფრით გზოგავს.

სწორედ კრივი ანგითარებს ჩვენში ამგვარ საშურველ თვისებებს. მამაკაცად ნაზომ სულიერს იგი ვაკაცად აქცევს, და ამისათვის ღირს ათასგვარ ძნელბედობათა გადატანა, ღირს გარკვეული მსხვერპლის გაღება, ერთგვარი რისკიც.

ეს ყოველივე ხომ ათასკეცად ნაზღაურდება. იგი, ვინც რინგზე ირწმუნა საკუთარი თავისა, ასეთივე შემართებით შეხვდება ცხოვრებისეულ სირთულეებს.

კრივი ბევრს ითხოვს ჩვენგან, მაგრამ უფრო მეტს გვანიჭებს. მარად ხსნა ბლავდა და მხიბლავს კრივის ამგვარი თვისება.

ასეთია ჩემი, რინგზე ათასგვარ ტრანსფორმაციული მოკრივის მრწამსი.

ეს ყოველივე, რა თქმა უნდა, სპორტული გზის დასაწყისში როდი ჩამომიყალიბდა. მაშინ ვგრძნობდი მხოლოდ ბევრს რასმეს, მთავარი კი მერმე გამოჭვრიტე, უკვე მრავალწლიანმა მოკრივემ, მხოლოდ შემდგომ გავაცნობიერე, რომ კრივი ჩემთვის უბრალო ახირება ან ზერელე გატაცება კი არ ყოფილა, არამედ ისეთი რამ, რასაც ქმემცნაულად ვესწრაფოდი ყოველთვის, რასაც ვეძიებდი და რაც ვპოვე კიდეც ბოლოსდაბოლოს.

* * *

ხურათზე: ალგირდას შოციკასი.

ორი ჩემპიონი და ერთი პრიზიორი

26 თებერვალს თბილისის სპორტის სასახლის სარბიელზე სტარტს აიღებს საბჭოთა კავშირის 1978 წლის პირველობა კრივში. სპორტის ამ რაინდული სახეობის ქართველი გულშემატკივრები განებივრებულნი როდი არიან მაღალი რანგის ასპარეზობით (საბჭოთა კავშირის პირველობა კრივში საქართველოში უკანასკნელად 1948 წელს ჩატარდა), ამიტომაც მოუთმენლად ელიან ჩვენი ქვეყნის საუკეთესო მოკრივეთა ორთაბრძოლებს. ინტერესს ისიც აძლიერებს, რომ რინგის ცნობილ ოსტატებთან ერთად, სარბიელზე ვიხილავთ ქართული კრივის ღირსეულ წარმომადგენელს — დავით ცავაძეს, რომელიც უპირველია შეეცდება შშობლიურ ქალაქშიც გაიმეოროს სვერდლოვსკსა და ფრუნზეში მოპოვებული წარმატებანი.

* * *

ჩვენი ქვეყნის სპორტულ საზოგადოებათა და უწყებათა კოლექტივები გაცხოველებით ემზადებიან ამ ასპარეზობისთვის. „დიდი“ კრივი ამ დღეებში მზიურ აჭარასაც ესტუმრა. ბათუმის ცირკის სარბიელზე ხუთ დღეს მიმდინარეობდა სპორტსაზოგადოება „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს პირადი პირველობა. საასპარეზოდ გამოვიდნენ მოკაკმირე რესპუბლიკების, ბაკოვის, მოსკოვისა და ლენინგრადის სპორტსმენები.

ამ ტურნირში ჩვენი რესპუბლიკის ღირსებას იცავდნენ: ა. ჯავახიშვილი, ო. განჯოიანი, ზ. ტარაკვე (სამივე — თბილისი), თ. საზუშია და რ. გიულიასარიანი (ორივე — სოხუმი). შესანიშნავად იასპარეზა სპორტის ოსტატმა ა. ჯავახიშვილმა (67 კგ), მან ყველა მეტოქე დამაჯერებელი უპირატესობით დაამარცხა და პირველად გახდა „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ჩემპიონი. თანაგუნდელს არც ო. განჯოიანი (51 კგ) ჩამორჩა — გამოცდილ მოწინააღმდეგეებთან ჭიდილში ისიც ოქროს მედალს დაეუფლა.

შეუპოვარი მებრძოლის სახელი დაიმკვიდრა რ. გიულიასარიანმა. იგი ყველა შეხვედრას შესაშური მონდომებითა და შემართებით ატარებდა, მაგრამ ფინალური ორთაბრძოლა მაინც დათმო გამოცდილ ა. სოფინთან (რსფსრ).

პირველსავე შეხვედრამე დამარცხდა ახალგაზრდა ზ. ტარაკვე. მისი ბედი გაიზიარა თ. საზუშიამ (81 კგ), რომელსაც წილისყრამ ძალზე ძლიერი მოკრივე — ვ. როსინსკი შეაგებდრა. მიუხედავად ამისა, თ. სამუშია ა. ჯავახიშვილთან, რ. გიულიასარიანთან და ო. განჯოიანთან ერთად „სპარტაკის“ ცენტრალური საბჭოს ნაკრებში შეიყვანეს.

სპარტაკელთა ნაკრები კოლექტივი საწვრთნელ შეკრებას ბათუმშივე გაივლის, 25 თებერვლიდან კი ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატში ჩაებმება.

უნდა ითქვას, რომ „სპარტაკის“ საოლქო საბჭოს თავკაცებმა (თავმჯდომარე ნ. ჟორდანია) ყველაფერი იღონეს შეჯიბრების მაღალ დონეზე ჩატარებისთვის. ქებას იმსახურებს ბათუმის ცირკის დირექციაც.

* * *

ტექნიკური შედეგები

48 კგ. ბ. ქამანკულოვი (ყაზახეთი), ი. ბობოშკო, ა. ეფრემოვი (ორივე — რსფსრ);

51 კგ. ო. განჯოიანი (საქართველო), კ. ეუკსიბაევი (ყაზახეთი), ა. აკბაროვი (უზბეკეთი);

54 კგ. ს. მალკინი, ნ. ეუმანოვი (ორივე — რსფსრ), ვ. კარიმოვი (აზერბაიჯანი);

57 კგ. ა. ვორობიოვი (ლენინგრადი), ა. სისოევი, ი. პონომარენკო (ორივე — რსფსრ);

60 კგ. ს. სანიკოვი (რსფსრ), ა. ახილოვი (უკრაინა), ა. გეეორქიანი (სომხეთი);

63,5 კგ. ვ. როსლოვი (ყირგიზეთი), ო. კოზელსკი (უკრაინა), ი. სულენკო (რსფსრ);

67 კგ. ა. ჯავახიშვილი (საქართველო), ვ. სოლომოვი (ყაზახეთი), ს. გაბრიელიანი (სომხეთი);

71 კგ. ა. ტოროიანი (სომხეთი), ა. პეტროსიანი (ლენინგრადი), ვ. ლაზინსკი (უკრაინა);

75 კგ. ე. მერკულოვი (უკრაინა), რ. ენგიბარიანი (ლენინგრადი), ვ. კაზიმირენკო (ბელორუსია);

81 კგ. ვ. რომენსკი, ვ. ბახტიაროვი, ა. საპელკინი (სამივე — რსფსრ);

81 კგ-ს ზევით. ა. სოფინი (რსფსრ), რ. გიულიასარიანი (საქართველო), ვ. კრასკო (უკრაინა).

კ. ბაბახანიდი,
საქართველოს „სპარტაკის“ რესპუბლიკური საბჭოს უფროსი მწვრთნელი კრივში, სპორტის ოსტატი.

მსოფლიო ჩემპიონის მასტიანი

სარბიელზე დაბრუნება

მხოლოდ ორნახევარი წლის შემდეგ, 1899 წელს დაუბრუნდა ვ. ლასკერი საჭადრაკო სარბიელს, ისიც ცოტა ხნით. ამბობენ, იძულებული იყო თავი გაეხსენებინა საზოგადოებისთვისო.

როცა ზ. ტარაშმა შთამბეჭდავად გაიმარჯვა ვენის 1898 წლის ტურნირში (27,5 ქულა 36-იდან, რაც ქულათა მაქსიმუმის 75 პროცენტს შეადგენს), მიმომხილველები „წერდნენ, რომ XIX საუკუნეში ასე არავის უსახელებია თავი, თვით მსოფლიო ჩემპიონსაც კი. ეს გამოწვევა იყო. ამიტომ ლასკერმა სიამოვნებით მიიღო ლონდონის 1899 წლის დიდი ტურნირის ორგანიზატორთა მიწვევა და ტარაშის რეკორდი დაამხო. I პრიზი ისევ დაისაკუთრა (21,5 ქულა 26-იდან; 83 პროცენტი), რომ 4,5 ქულით გაუსწრო II-IV ადგილებზე გასულთ — დ. იანოვსკის, ჯ. პილსბერისა და გ. მაროციის. ყველამ აღიარა მსოფლიო ჩემპიონის უძლეველობა.

მალე (1900 წელს) ლასკერმა კიდევ ერთ (პარიზის) ტურნირში ითამაშა, სადაც ბრძოლა შთამაგონებლად (14,5 ქულა 16-იდან) დააგვირგვინა და კვლავ გაჭრა საჭადრაკო სარბიელიდან.

1902 წელს საქვეყნოდ გახმიანდა, რომ ერლანგენის (ინგლისი) უნივერსიტეტში ლასკერმა ბრწყინვალედ დაიცვა დისერტაცია ფილოსოფიისა და მათემატიკის დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მერე, ორი წლის მანძილზე ლასკერის შესახებ არაფერი ისმოდა.

მთელი თავისი ცხოვრება ლასკერი ასე იქცეოდა. ხშირად, რამდენიმე წელი არ მონაწილეობდა ტურნირებში, გართული იყო მეცნიერული კვლევა-ძიებით. მათემატიკურმა შრომებმა სახელი გაუთქვეს მას, როგორც ღრმა და ორიგინალურ მოაზროვნეს. მასთან თვით ა. ეინშტაინი მეგობრობდა. 1936 წელს ლასკერი აირჩიეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მათემატიკის ინსტიტუტის საპატიო წევრად.

ლასკერი გულახდილად ამბობდა, რომ ჭადრაკი არ არის მისი ძირითადი პროფესია და თამაშობს მხოლოდ იმისთვის, რომ მატერიალურად უზრუნველყოს თავისი მეცნიერული მუშაობა. მაშინაც, როცა კემბრიჯის (ინგლისი) უნივერსიტეტში ლექციებს კითხულობდა, ფულის საშოვნელად ორჯერ მოახერხა აშშ-ში ჩასვლა ერთდროული თამაშის სეანსების გასამართავად. საერთოდ ლასკერი ტურნირში თუ მსოფლიო პირველობაზე მატჩის თამაშისთვის მუდამ დიდ გასამრჯელოს მოითხოვდა. მაგალითად, 1899 წელს იანოვსკიმ მატჩში რომ გამოიწვია, ლასკერმა საპრიზო ფონდი 8 ათასი მარკით განსაზღვრა. პრეტენდენტმა ვერ შეაგროვა ამდენი ფული და შეხვედრაც არ შედგა.

ლასკერი წერდა, რომ პროფესიული მოჭადრაკის შრომაც ისე უნდა იყოს დაფასებული, როგორც მსახიობისა თუ მოკრივისა და იმის გამო, რომ ეს ასე არ არის ვ. სტეინიცმა — ამ ბუმბერაზმა მოჭადრაკემ სიღარიბეში დალია სულიო. მაგრამ ისიც სიმართლეა, რომ ზოგჯერ, როცა სხვადასხვა მიზეზით მას თამაში არ სურდა, მეტისმეტად დიდ ჰონორარს ითხოვდა. სწორედ ამიტომ არ შედგა მისი მატჩები ღირსეულ პრეტენდენტებთან, როგორიც იყვნენ გ. მაროცი და ა. რუბინშტეინი.

1904 წელს ლასკერი მიიწვიეს კემბრიჯ-სპრინგსის (აშშ) საერთაშორისო ტურნირში. სტუმართმოყვარე ამერიკელებს უარი ვერ უთხრა, თუმცა ნავარჯიშები არ იყო. მან მხოლოდ II-III ადგილები გაიყო იანოვსკისთან, რომელსაც მოუგო და დაეწია დასკვნითს ტურში. ბრწყინვალედ გაიმარჯვა ახალგაზრდა ამერიკელმა ფ. მარშალმა, რომელმაც ორი ქულით გაუსწრო. სწორედ მასთან დამარცხდა ლასკერი პარიზის ტურნირში.

ავ წარუმატებლობას მოჰყვა მსოფლიო ჩემპიონის კრიტიკა პრესაში. ლასკერი გრძნობდა, რომ ვიდრე იგი მათემატიკასა და ფილოსოფიას ჩაჰკირკიტებდა, საჭადრაკო სარბიელზე ახალმა, ნიჭიერმა თაობამ შემოაბიჯა.

ამ დროს ევროპაში უძლიერესად კვლავ ტარაში რჩებოდა. მარშალმა იგი გამოიწვია. ჭადრაკის სამყარო კმაყოფილი შეხვდა ამ ამბავს. ფაქტიურად ეს იყო პრეტენდენტთა მატჩი. მეტოქენი შეხვდნენ ერთმანეთს 1905 წელს, მაგრამ მარშალს ბრძოლა არ გამოუვიდა. იგი დამარცხდა ანგარიშით 5:12 (+1—8=8).

მატჩის შემდეგ პატივმოყვარე ტარაში წერდა: „ახლა მსოფლიოში ჩემზე ძლიერი მოჭადრაკე არავინაა. უფრო ძნელია სძლიო ახალგაზრდა მარშალს, ვიდრე მოხუც სტეინიცს. მზად ვარ მისაღებ პირობებზე ვეთამაშო ლასკერს, ოღონდ თავად მას არ გამოვიწვევ. ჩვენი შეხვედრა საზოგადოებამ მოაწყოს, თუ აინტერესებს“.

მსოფლიო ჩემპიონს უკანდასახევი გზა აღარ რჩებოდა და თავისი უძლეველობის დასამტკიცებლად ისევ დაუბრუნდა საჭადრაკო სარბიელს.

ვიდრე საზოგადოება თავის სიტყვას იტყოდა, მარშალმა შესანიშნავად მოიგო ნიურნბერგის 1906 წლის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ტარაშმა მხოლოდ IX ადგილი დაიკავა. ამერიკის ჩემპიონს მორალური უფლება ჰქონდა კვლავ გამოეწვია მსოფლიო ჩემპიონი. უმნიშვნელო, საპრიზო ფონდის მიუხედავად ლასკერი დათანხმდა თამაშზე.

მხარეები შეთანხმდნენ, რომ მატჩი მოეწყოთ 1907 წლის იანვარ-აპრილში აშშ-ის ქალაქებში (ნიუ იორკში, ფილადელფიაში, შემფისში, ჩიკაგოსა და ბალტიმორაში) და ეთამაშათ 8 მოგებამდე ყაიმების ჩაუთვლელად.

ფრენკ მარშალი (10 VIII. 1877 — 7. XI. 1944) XX საუკუნის დასაწყისის მსოფლიოს უძლიერეს მოჭადრაკეთა კოპორტაში შედიოდა. იგი რომანტიკული სტილით თამაშობდა და წარმატებას ხშირად ვერ აღწევდა. მხოლოდ მაშინ, როცა სტეინიცის მოძღვრებას დაეუფლა, მიღწევებიც სტაბილური გაუხდა.

ლასკერმა სასტიკად დაამარცხა ამერიკელი მოჭადრაკე: 1:0, 2:0, 3:0, 3,5:0,5, 4:1, 4,5:1,5, 5:2, 6:2, 6,5:2,5, 7:3, 7,5:3:5, 8,5:3,5, 9,5:3,5, 10,5:3,5, 11,5:3,5 (+8—0=7). მარშალმა ერთი პარტიაც ვერ მოიგო. გაზეთები წერდნენ, თუ ტარაშმა გაანადგურა მარშალი, ლასკერმა კი მოსპო იგიო.

საინტერესოა, რომ მარშალი და ლასკერი უკანასკნელად შეხვდნენ ერთმანეთს 1940 წელს ნიუ იორკში და, როგორც მათს პირველ შეხვედრაში პარიზში 1900 წელს, პარტია მარშალმა მოიგო. ეს პარტია საერთოდ ბოლო იყო ლასკერის ცხოვრებაში.

თ. ბიორგაძე.

მასპინძლობდა რუსთავი

რუსთავში, სპორტკლუბ „ფოლადის“ დარბაზში დამთავრდა საქართველოს პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდების შორის. მონაწილეობდა აჭარის, აფხაზეთის, სამხრეთ ოსეთის, თბილისის, ქუთაისის, გორის, გორის რაიონის, კასპის, ხაშურის, გარდაბნის, სამტრედიის, ჭიათურის, ამბროლაურის, საგარეჯოს, თელავისა და რუსთავის 131 მოჭიდავე.

ყველაზე მეტი სპორტსმენი — 33 თბილისმა გამოიყვანა. 17 მოჭიდავე ჰყავდა რუსთავს. სრული გუნდებით მათ გარდა კიდევ აჭარა, აფხაზეთი და ქუთაისი ასპარეზობდა. სამწუხაროდ, დანარჩენებზე ამას ვერ ვიტყვით. ეგ კი არა, საგარეჯოდან და სამტრედიიდან მხოლოდ ორ-ორი მოჭიდავე იყო, რომლებმაც, სტარტზევე განიცადეს მარცხი. არადა, ამ ქალაქებში ჭიდაობის უმაღლესი ოსტატობის სკოლის ჯგუფებია გახსნილი. თელავმა ერთადერთი მოჭიდავე გამოგზავნა რუსთავში სასპარეზოდ.

თავისუფალი ჭიდაობის რესპუბლიკური ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა მ. ოსიყმაშვილმა. ჩვენს შეკითხვაზე თუ ვინ მოეწონა ახალგაზრდა ფალავნებიდან, უყოყმანოდ დაასახელა გ. ქენქაძე, თ. ხიზანიშვილი (ორივე — თბილისიდან), კასპელი თ. გაბოძე და რუსთაველები მ. მერაბიშვილი და კ. ხადური.



გუნდური პირველი ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, 18 საჯარიმო ქულით დაიკავა თბილისის ძლიერმა კოლექტივმა (მწვრთნელები ო. შოშიტაშვილი ტ. ჭარბაძე). 28 საჯარიმო ქულით მეორე ადგილი წილად ხვდა რუსთავს, ხოლო **მესამე — აფხაზეთის ნაკრებს** (30 ქ.).

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: **ბ. კაკალაძე** (აჭარა), **მ. მერაბიშვილი** (რუსთავი), **ვ. ცქიტიშვილი, გ. ქენქაძე** (ორივე — თბილისი), **კ. ხადური** (რუსთავი), **თ. გაბოძე, თ. ხიზანიშვილი** (თბილისი), **ა. ადეიშვილი** (ბორჯომი), **ბ. ...ენერიძე, ... ავლობაშვილი** (ორივე — თბილისი).

ასპარეზობის დამთავრების შემდეგ შეიქმნა რესპუბლიკის ნაკრები, რომელიც მონაწილეობას მიიღებს საკავშირო პირველობაზე. ეს შეჯიბრება გაიმართება 16-19 მარტს ქალაქ დაუგავპილსში.

რ. ბაბრიეიძე.

● ● ●

სურათზე კ. ხადურმა ხიდზე გადაიყვანა ა. კოჩიეევი.

ჭიდაობა

ეროვნული ნაკრებები ... ...

იტალიის პრესა უკმაყოფილოა

ესპანეთის ეროვნულ ნაკრებთან დამარცხების შემდეგ (1:2) იტალიის პრესა თავს დააცხრა „სკუადრა აძურას“. „ესპანელებმა ყველაფრით დაგვჯაბნეს. ახალგაზრდებმა ვერ გაუძლეს გამოცდას“ — წერს „გაზეტა დელო სპორტი“. „ქორერა დელ სერას“ აზრით „ექსპერიმენტი არ შედგა. ახალგაზრდები ჯერ კიდევ არ დაღვინებულან“. ამ დროს ნაკრების მწვრთნელი ბეარზოტი თავის ხაზს ატარებს — გამოცდილებას უკავშირებს ახალგაზრდულ შემართებას.

ფედერაცია ხელს უწყობს

არგენტის მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე მექსიკის ფეხბურთის ფედერაციამ ქვეყნის პირველობაზე დარჩენილ 8 ტურში თამაში აუკრძალა იმ ფეხბურთელებს, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ მონაწილეობას მიიღებენ მომავალ ჩემპიონატში. ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა მხოლოდ და მხოლოდ ერთი მიზნით — ნაკრების კანდიდატები დაახლოებულ ტრავმებისაგან.

ნაკრები ცნობილია

საფრანგეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა იდალგომ გამოაქვეყნა იმ ფეხბურთელთა გვარები, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ არგენტინის მსოფლიო ჩემპიონატში. ესენია: მეკარეები — ბარატელი, ბერტრანდ-დემანსი; მცველები — ჯანვიონი, რიო, ტრეზორი, ბოსე, ტისო, ლოპესი, ფლაკი; ნახევარმცველები — გიულონი, პლატინი, ბატენი, ჟოვე, მიშელი; თავდამსხმელები: რომეტო, დელგეტი, ლიაკომბი, სექსი, როვერი, სალერი, ამიზე. ამ შემადგენლობით საფრანგეთის ნაკრები გამართავს რამდენიმე ამხანაგურ შეხვედრას: 1 მარტს პარიზში პორტუგალიის ნაკრებთან, 1 აპრილს ბრაზილიის ნაკრებთან და 17 მაისს ლილში — ირანის ნაკრებთან.

ბაროტის გადაწყვეტილება

უნგრეთის ეროვნული ნაკრების მწვრთნელმა ლ. ბაროტიმ განაცხადა, რომ არგენტინაში იგი 22 ფეხბურთელის მიგიგრად წაიყვანს მხოლოდ 19-ს. მისი აზრით ბევრ სათადარიგო მოთამაშეს მხოლოდ არეულობა შეაქვს გუნდის ნორმალურ ცხოვრებაში. მან დასძინა, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე უნგრეთის ნაკრები საკონტროლო შეხვედრებს ჩაატარებს ჩეხოსლოვაკიის, ინგლისისა და საფრანგეთის ნაკრებ გუნდებთან.

ყველაზე საპატიო ტიტული

— ჩემთვის ძალიან ძვირფასია შარშანდელ ტურნირებში მოპოვებული მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონის წოდებები, — თქვა კლასიკური სტილის მოჭიდავე ბულგარელმა მძიმეწონოსანმა ნიკოლა დინევმა, — მაგრამ ოლიმპიური ტიტული ყველაზე საპატიოა. ამიტომ ყოველ უახლოეს სტარტს მოსამზადებელ ეტაპად ვთვლი მოსკოვის ოლიმპიური ტურნირის წინ.

— ვინ მიგაჩნიათ ძირითად მეტოქედ?

— ალექსანდრე ტომოვი (ბულგარეთი) და ალექსანდრე კოლჩინსკი (სსრ კავშირი).

— რას იტყვით ოლიმპიურ ჩემპიონ კოლჩინსკიზე?

— მასთან შეხვედრაში „დადებითი ბალანსი“ მაქვს. ამასთან გასული წელი განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფსიქოლოგიური თვალსაზრისით. კოლჩინსკის მოუგე ნიკოლა პეტროვის მემორიალზე, ბურსაში „ევროპულ ხალიჩაზე“, გიოტებორგში მსოფლიო ჩემპიონატზე და საბოლოოდ დაერწმუნდი, რომ ამჟამად საშაზე ძლიერი ვარ.

— როგორ გრძნობს თავს ადამიანი, რომლის წონაა 135 კგ?

— თუ ყველა 135000 გრამი სასარგებლო შრომას ეწევა — ძალიან კარგად.

— თქვენი „არასპორტული“ გატაცება?

— მიყვარს ცხოველები. ალბათ ამიტომაც დავიმთავრე საველტერინარო სასწავლებელი, ახლა კი ვაგრძელებ სწავლას ინსტიტუტში ამავე სპეციალობით. (საყდესი).

„სპორტლოტო“

სპორტული ლატარიების მთავარმა სამმართველომ შეაჯამა შედეგები „სპორტლოტოსა“ და „სპორტლოტო-2“-ის მეექვსე ტირაჟებისა, რომლებიც მოსკოვში 8 თებერვალს მოეწყო.

„სპორტლოტო“: ექვსი ნომერი ვერავინ გამოიცნო; ექვსი ნომრის გამოცნობისთვის (შეღავათიანი ბილეთულით) მოგება — 3683 მანეთია, ხუთისთვის — 2683, ოთხისთვის — 59, სამისთვის — 3.

„სპორტლოტო-2“: ექვსი ნომერი აქაც ვერავინ გამოიცნო; ხუთი ნომრის გამოცნობისთვის მოგება 4881 მანეთია, ოთხისთვის — 74, სამისთვის — 3.

მოგებული თანხა გაიცემა 19 თებერვლიდან 19 მარტის ჩათვლით.

გუშინ მოსკოვში გაიმართა „შაბათის სპორტლოტოს“ მორიგი, მეექვსე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ციფრები და სახელობები:

პირველი: 7 (ველოტრეკი), 8 (ველო, გზატკეცილი), 15 (ძიუდო), 28 (მშვილდოსნობა), 35 (ბალახის ჰოკეი).

მეორე: 8 (ველო, გზატკეცილი), 9 (წყალბურთი), 17 (ციგურები), 32 (ფარიკაობა), 33 (ფიგურული სრიალი).

მხიარული ფანქრით

უსიტყვოდ.

ნ. ქელეხსაშვილის ნახატი.

რედაქტორი ა. ბასილაია.

გაზეთი გამოდის უოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა. რედაქციის მისამართი: 380008. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.
ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50; რედაქტორის მოადგილე — 99-56-47; მასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-66; მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის — 93-97-55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე-ახალგაზრდობის — 93-97-53; ჭადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93-97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გიშომშვები — 93-98-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14. — УЕ 01959